

კუპანიტარული და სოციალური მედიცინა

თეა ლორთქიფანიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნიის
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო ენა და ბილინგვური განათლება

ანოტაცია

ნაშრომი ეხება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მულტილინგვურ განათლებას, სახელმწიფო ენის დაუფლებას სამოქალაქო ინტეგრაციისთვის და ამავე დროს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

მულტილინგვური განათლების პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც გულისხმობს, რომ შეიქმნას საერთო საკომუნიკაციო ენა სახელმწიფოში და ენის ფლობა იყოს გარანტი საზოგადოებაში ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციისა. ორენოვანი განათლება წარმოადგენს ინსტრუმენტს, რათა ყველას მიეცეს მონაწილეობისა და პროფესიული წარმატების თანაბარი შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური, სახელმწიფო ენა, განათლება, ინტეგრაცია.

სახელმწიფო ენა და ბილინგვური განათლება

სახელმწიფო ენა, ძირითადი ენაა, რომელსაც იყენებენ სახელმწიფო დაწესებულებებში, საქმის წარმოებაში, სამართალწარმოებაში და სხვა ოფიციალურ სტრუქტურებსა და ურთიერთობებში. სახელმწიფო ენის სტატუსს, როგორც წესი, განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია.

ენა, რომელიც ინტეგრაციულ ფუნქციას ასრულებს მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში;

სახელმწიფო ენა — ენა, რომელიც ამ სტატუსით არის განსაზღვრული ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციაში, ან კონსტიტუციის არარსებობის შემთხვევაში – სახელმწიფოს კანონებში. ეს არის ენა, რომელსაც სახელმწიფოს მოქალაქეები იყენებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან (საკანონმდებლო, სასამართლო, სააღმსრულებლო) ურთიერთობებისას. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო ენა, რომელიც ასეთად აღიარებულია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ეროვნული უმცირესობების ენებისაგან, რომელთაც აქვთ სახელმწიფო (ოფიციალური) ენის სტატუსი ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში.

საქართველო მულტიენიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა. განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობა იწვევს ლინგვისტურ, რელიგიურ და

კულტურულ განსხვავებულობას. ეთნიკური ჯგუფების კულტურა და ტრადიციები თავისთავად საინტერესო და დასაფასებელია, თუმცა ყოველდღიური საქმიანობები მოითხოვს ეროვნულ უმრავლესობასთან ინტეგრაციის აუცილებლობას.

საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კულტურათა შორის ტოლერანტობის ჩამოყალიბებას. საერთო ღირებულებებისადმი პატივისცემას და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდებას. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის ყველაზე ეფექტური მექანიზმია ინტერკულტურული განათლება.

საქართველოში არსებული ეთნიკური ფონიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი. თანამედროვე სამყაროში განათლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გადაცემით; იგი მოიცავს პიროვნების სრულფასოვან განვითარებას, სოციალური ინტეგრაციისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას. ამ კონტექსტში ბილინგვიზმი, ანუ ორენოვნება, წარმოადგენს განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რომელიც პასუხობს გლობალიზაციის, მიგრაციისა და მრავალკულტურიანობის გამოწვევებს.

ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობამაც ბოლო წლებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. რა თქმა უნდა, ამ საკითხს მხარს უჭერს სახელმწიფო, რაც კონსტიტუციაშიც აისახება.

ბილინგვიზმის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მრავალენოვანი სახელმწიფოებში, სადაც განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც სახელმწიფო ენის ცოდნა, ისე უმცირესობათა მშობლიური ენის დაცვა და განვითარება. სწორედ ამიტომ, ბილინგვიზმი თანამედროვე განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განიხილება.

ბილინგვიზმი – ორენოვნება – განათლების უმნიშვნელოვანეს ასპექტადაა მიჩნეული.

ბილინგვური (ორენოვანი) განათლება წარმოადგენს განათლების ისეთ ფორმას, სადაც სხვადასხვა საგნისა თუ საგანთა ჯგუფის სწავლების ენად გამოიყენება ორი ან მეტი ენა (მულტილინგვური). რამდენიმე ენაზე ერთდროულად სწავლება ხელს უწყობს ლინგვისტური უნარების განვითარებას და ენის ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს.

ბილინგვიზმის მრავალფეროვანი ტიპები განსხვავებულ საგანმანათლებლო შედეგებს იძლევა:

სიმულტანური ბილინგვიზმი – ბავშვი ორ ენას ერთდროულად ითვისებს ადრეულ ასაკში.

სეკვენციური ბილინგვიზმი – მეორე ენის სწავლა იწყება პირველის ჩამოყალიბების შემდეგ.

დამატებითი ბილინგვიზმი – მეორე ენა ავსებს და ამდიდრებს პირველ ენას.

სუბტრაქტიული ბილინგვიზმი – მეორე ენა თანდათან ანაცვლებს პირველ ენას.

ბალანსირებული ბილინგვიზმი – ორივე ენის შედარებით თანაბარი ფლობა.

ბილინგვიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი მისი გავლენაა კოგნიტურ განვითარებაზე. მრავალი ემპირიული კვლევა ადასტურებს, რომ ორენოვანი მოსწავლეები გამოირჩევიან უკეთ განვითარებული აღმასრულებელი ფუნქციებით, როგორიცაა ყურადღების კონტროლი, სამუშაო მეხსიერება და კოგნიტური მოქნილობა. ენის ორ სისტემას შორის მუდმივი გადართვა ხელს უწყობს ტვინის აქტივობას და ზრდის შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარებს. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე ყველა საგნობრივ სფეროში.

საგანმანათლებლო ჭრილში ბილინგვიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული სწავლების ხარისხთან და შედეგიანობასთან. მოსწავლეები, რომლებიც განათლებას იღებენ მათთვის გასაგებ ენაზე, უკეთ იაზრებენ სასწავლო მასალას, აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში და ავლენენ უფრო მაღალ მოტივაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი განათლების საფეხურზე, სადაც ყალიბდება სწავლისადმი დამოკიდებულება და ძირითადი აკადემიური უნარები. მშობლიური ენის იგნორირება ამ ეტაპზე ხშირად იწვევს აკადემიურ ჩამორჩენასა და საგანმანათლებლო პროცესიდან გამოთიშვის რისკს.

განათლების მიზანია დამატებითი ბილინგვიზმის ხელშეწყობა, რადგან ის უზრუნველ-

ყოფს, როგორც აკადემიურ წარმატებას, ისე კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. აკადემიურ ქრილში, სწორად ორგანიზებული ბილინგვური განათლება ხელს უწყობს საგნობრივი ცოდნის უკეთ ათვისებას და სწავლისადმი მოტივაციის გაზრდას.

ბილინგვური განათლების რეფორმის იდეა სახელმწიფო ენის არაქართულენოვან სკოლებში უფრო ეფექტიანი სწავლებისთვის გაჩნდა. ბილინგვური განათლების დროს ენის შესწავლა საგნის სწავლების პარალელურად მიმდინარეობს. თუ ბილინგვური განათლების პროგრამა კარგად დაგეგმილი და განხორციელებულია, მოსწავლე აკადემიური თვალსაზრისითაც უფრო მოსწრებულია და კოგნიტური (გონებრივი) განვითარებაც გაცილებით მაღალი აქვს, ვიდრე მონოლინგვალ (ერთ ენაზე მოსაუბრე) ბავშვს. თუ პროგრამა ჯეროვნად არ განხორციელდა, იგი შეიძლება საფრთხის შემცველიც იყოს, რადგან მაშინ მოსწავლე სრულყოფილად ვერ ითვისებს ვერც ერთ ენას და ვერც აკადემიურ საგნებს.

ზრდასრულებში ენის სწავლების აუცილებლობა და შესაძლებლობები

ჩვენს ყოველდღიურობაში მეორე ენისა თუ, ზოგადად უცხო ენის შესწავლის მზარდმა მოთხოვნილებამ ლინგვისტიკის სფეროს განვითარებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა. ენის მკვლევართა წინაშე დადგა საკითხი: რა გზებით, მეთოდებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი მეორე ენის სწავლებისას დასახული მიზნების მიღწევა. არსებობს უამრავი გარემოება, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს ენის სწავლების შედეგებს. ამ გარემოებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ასაკობრივი თავისებურება, სოციოკულტურული გარემო, გენეტიკა, ინდივიდუალური შემეცნებითი უნარები, და ა. შ., მაგრამ შემთხვევაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ენის სწავლების მეთოდია, მიდგომები და სტრატეგიები, რომელთა ძირითადი არსი მეტ-ნაკლებად ყველა ინდივიდისთვის ერთგვარია, თუმცა განსხვავდება ფორმა და შინაარსი დასახული მიზნების და ინდივიდუალური თავისებურების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სწავლების სტრატეგიები შესაძლოა გამოიყენებოდეს მცირე ასაკობრივი ჯგუფის ენის შემსწავლელთათვისაც, თუმცა ზრდასრულების წარმატების შესაძლებლობა გაცილებით მაღალია, იმის გათვალისწინებით, რომ ზრდასრულს თავად შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული სტრატეგიის შერჩევაში ენის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების, საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მის წინაშე მდგარი სამომავლო გეგმების გათვალისწინებით.

კაცობრიობის განვითარება შეუქცევადს ხდის ცვალებადობის პროცესს ადამიანთა არსებობის ნებისმიერ სფეროში, არც ზოგადად სწავლა /სწავლების პროცესია გამონაკლისი. იცვლება სწავლის მეთოდები/ სტრატეგიები იმის მიხედვით, რა კონკრეტული მიზნები დგება ადამიანის წინაშე. უცვლელია მხოლოდ მეორე ან უცხო ენის მიმართ სწავლის მოთხოვნილება ნებისმიერი სოციოკულტურული წარმომადგენლისათვის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ენის სწავლა დაძლევადი პროცესია, თუმცა მთავარია სწორი მიმართულება და მოტივაცია მიზნის მისაღწევად. ენის შემსწავლელს მეტ-ნაკლებად უკვე აქვს განსაზღვრული კონკრეტული მიზნები, სწორედ ამის გათვალისწინებით, მას შეუძლია აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ენის მეთოდებისა და მიდგომების არჩევაში, რომლებიც მის სამომავლო მიზნებთან უფრო მეტადაა თანხვედრაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი . შუბითიძე, ბილინგვური განათლება ,#12, 2013, bilingvuri ganaTleba, #12, 2013 სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი, „მეორე ენის სწავლების სტრატეგიები ზრდასრულთათვის“.
2. ტაბატაძე, 2009 – შ. ტაბატაძე, ინტერკულტურული განათლების პოლიტიკა საქართველოში, მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2009
3. ტაბატაძე, 2010 – შ. . ტაბატაძე, განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში და არქართულენოვანი სკოლები. მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2010.
4. კ. გაბუნია , ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების თავისებურებები ბილინგვურ კლასში. , ბილინგვური განათლება, #1 , 2010.
5. ბეიკერი, 2006, -კ. ბეიკერი, ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა.